2024 წლის
ანგარიში
Charte.ge

რა არის ჩართე?

Charte.ge საქველმოქმედო პლატფორმაა, რომელზეც ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, დაუფინანსოს ინტერნეტი და ლეპტოპი სოციალურად დაუცველ უფროსკლასელს. „ჩართეს“ გუნდი მოსწავლეებს უზრუნველყოფს, ასევე, საგანმანათლებლო რესურსებით, ტრენინგებითა და მუდმივი ტექნიკურ-საგანმანათლებლო მხარდაჭერით.

რატომ?

დღეს საქართველოში 78,000-მდე მოსწავლეს არ აქვს ინტერნეტი. 21-ე საუკუნეში ინტერნეტზე წვდომა ადამიანის ფუნდამენტური უფლებაა. ინტერნეტის მიწოდებით მოსწავლეს უჩნდება არა მხოლოდ სწავლისა და განვითარების ულევი შესაძლებლობა, არამედ ეცვლება წარმოდგენა სამყაროს შესახებ, ეზრდება შესაძლებლობათა ველი, უჩნდება თვითგანვითარების სტიმული.

როგორ მუშაობს Charte.ge?

სკოლების დახმარებით აღვრიცხავთ ამა თუ იმ რეგიონის თითოეულ სოციალურად დაუცველ უფროსკლასელს.

ვსტუმრობთ თითოეულ მოსწავლეს, ვრწმუნდებით მათ საჭიროებაში და საიტზე აღვრიცხავთ მათ ისტორიას.

ადამიანები რეგისტრირდებიან ყოველთვიურ დონორებად და აფინანსებენ ინტერნეტს / ლეპტოპს.

ისინი ირჩევენ, მათი ყოველთვიური შემოწირულობის რა ნაწილი დაფარავს ადმინისტრაციულ ხარჯებს.

მოსწავლეებს ვურიგებთ ხელმისაწვდომ კომპიუტერებს და ვუფინანსებთ ინტერნეტს.

მოსწავლეებს ვრთავთ მენტორობის პროგრამაში და ვაძლევთ წვდომას რესურსებსა და ტრენინგზე.

დონორები იღებენ გამჭვირვალობის ანგარიშს დეტალური ხარჯებით, სიახლეებითა და წარმატების ისტორიებით.

დროში განმეორებადი კვლევების საშუალებით ჩვენ მუდმივად ვზომავთ პროექტის გავლენას მოსწავლეებზე.

2024 წელი რიცხვებში

	2024-ში	სულ
მოსწავლეები	398	2836
დონორები	452	5453
მოქალაქეების შემოწირულობები	₾590 509	₾2 679 697 78
კომპანიების შემოწირულობები	₾233 951	₾1 477 178
ახალი რეგიონი	1 (გალი)	
ბანაკი მოსწავლეებისთვის	1	

მოსწავლეების რაოდენობა
წლების მანძილზე
102
284
475
1078
1605
2080
2438
2836
2017
2018
2019
2020
2021
2022
2023
2024

სად ვიმუშავეთ 2024 წელს



რაში დაიხარჯა შემოწირულობები
2024 წელს



რა მოხდა 2024 წელს განსაკუთრებული?

მოსწავლეებმა გაიარეს
Epam-ის, Smart Academy-ის,
CyberHouse-ის სასწავლო კურსები,

მუშაობა დავიწყეთ გალში.
90 ოჯახს გადავეცით ლეპტოპი.

ჩართე წარვადგინეთ
AdSummit-ზე, DataFest-ზე,
E-commerce Day-ზე, HR Congress-ზე

ველზე თავიანთი
მანქანით წაგვიყვანეს
ჩვენმა მხარდამჭერებმა.

რა მოხდა 2024 წელს განსაკუთრებული?

„ზუმერის“ მხარდაჭერით გალელ მოსწავლეებს ორი 4-დღიანი შემეცნებითი ბანაკი ჩავუტარეთ, მათ შორის ტრენინგები პროფორიენტაციის, კარიერის დაგეგმვის, მედია და ფინანსური წიგნიერების შესახებ დავურიგეთ „ტენეს“ ეკომეგობრული კაბელები და „სულაკაურის გამომცემლობის“ წიგნები და ვითამაშეთ „წიბახას“ სამაგიდო თამაშები.

მადლობა
მხარდაჭერისთვის!